პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა

ჩვენს შესახებ

შპს «დიზი» (შემდგომში - კომპანია, ჩვენ) - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სალიზინგო კომპანია, რომელიც წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისად მოქმედებს, როგორც პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი: 436048778
იუ. მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N71, ოფისი N33, სართული 6, (ბლოკი N1).
დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ საიტს: https://dizi.ge/ge/privacy/

ტერმინების განმარტება
წინამდებარე პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს საქართველოს კანონის «პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- **პერსონალური მონაცემი** (შემდგომ – მონაცემები) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;
- **დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი** – დიზი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;
- **დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი** – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი;
- **მონაცემთა დამუშავება** – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;
- **პირდაპირი მარკეტინგი** – ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან/და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან/და მხარდაჭერის მიზნით;
- **ინციდენტი** - მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას;
- **მონაცემთა სუბიექტი** – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს სალიზინგო მომსახურებით (ავტოლიზინგი, უკულიზინგი, ტაქსილიზინგი) ან/და რეფინანსირებით ან/და გამოთქვამს სურვილს ისარგებლოს აღნიშნული მომსახურეობებით;
- **მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავება** – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- **მონაცემთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავება** – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე;
- **მონაცემთა ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავება** – მონაცემთა დამუშავება ავტომატური საშუალებებისა და არაავტომატური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით;

როგორ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს
წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის კლიენტების პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს, მიზნებს, პრინციპებს, საფუძვლებს და შენახვის პირობებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, დეტალურად გატყობინებთ რა სახის მონაცემებს ვაგროვებთ/ვამუშავებთ თქვენს შესახებ, როდესაც ხდებით ჩვენი კლიენტი, და როგორ გამოიყენება ეს მონაცემები პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის.

საჭიროების შემთხვევაში ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მონაცემების დამუშავებაზე თქვენი თანხმობა დამატებით შეიძლება გამოხატულ იქნას წერილობით, ზეპირი ან სხვა შესაბამისი ფორმით, რითაც შესაძლებელი იქნება მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის დადგენა.

ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ თქვენი მონაცემები მხოლოდ გარიგების ან სხვა სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში და იმ მიზნით მისაღწევად, რისთვისაც მოგვმართეთ.

როგორ ვიცავთ თქვენს უფლებებს

თქვენი უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია წინამდებარე პოლიტიკით და საქართველოს კანონმდებლობით. თქვენ გაქვთ უფლება იცოდეთ, როგორ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს, გაეცნოთ მონაცემებს და აგრეთვე უსასყიდლოდ მიიღოთ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის:
ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური;
ბ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილია გონივრული საფასური მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირის გამო.

პერსონალური მონაცემები, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია დავამუშაოთ მომსახურების გაწევის მიზნით პროპორციული მოცულობით:

წყაროები, საიდანაც მოვიპოვებთ თქვენს მონაცემებს
<u>თქვენი ან თქვენი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით:</u>

- ჩვენთან სხვადასხვა ფორმით კომუნიკაციის დამყარებისას (ფილიალებში ვიზიტისას, ტელეფონით/ელ. საშუალებებით (ჩვენს საიტზე არსებული ჩათი, სოც. ქსელები);
- როდესაც მოგვმართავთ ჩვენი პროდუქტებისა თუ მომსახურების მისაღებად;
- თქვენთვის კონსულტაციის გაწევის დროს;
- კორესპონდენციის ნებისმიერი საშუალებით გამოგზავნისას.
- ვიდეომონიტორინგის განხორციელების გზით მოპოვებული მონაცემები;
- ჩვენთან დასაქმების სურვილის შემთხვევაში, თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ან/და მოწოდებული ინფორმაციიდან;

<u>მესამე პირების/ორგანიზაციებისგან მიღებული ინფორმაცია:</u>
შესაძლებელია ჩვენი მხრიდან მოხდეს მესამე პირებისგან როგორც პოზიტიური, აგრეთვე ნეგატიური ინფორმაციის გამოთხოვა და მიღება, რომელიც შესაძლებელია ინახებოდეს საჯარო რეესტრში, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და ა.შ.

აღნიშნული პროცედურა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, თქვენი წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს შემდეგი მიზნებისთვის:

- საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულებისთვის;
- თქვენი საჭიროებების ან ინტერესის განსაზღვრისთვის;
- თქვენთან ეფექტური კომუნიკაციისთვის და ჩვენი მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად;
- კლიენტებთან ეფექტური კომუნიკაცია და მომხმარებლის მიერ უკუკავშირის დამყარებისთვის;
- ახალი პროდუქტის და მომსახურების დანერგვისთვის;
- კლიენტის მიერ წაყენებული პრეტენზიების აღმოსარელად;
- მარკეტინგული და სხვა აქტივობების ჩასატარებლად;
- მონაცემების განახლებისთვის, იმ მომსახურების იდენტიფიცირებისთვის, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს თქვენი ინტერესის საგანს და შესაბამისი ინფორმაციის მოწოდებისთვის;

- კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში ყოფნისთვის

Cookies გამოყენება

ჩვენ ვიყენებთ ქუქი-ფაილებს და ვაკვირდებით ჩვენი ვებსაიტის ვიზიტორების ქცევას, რათა ვუზრუნველყოთ საიტზე ყველაზე მოსახერხებელი ნავიგაცია ჩვენი ვიზიტორებისთვის და მუდმივად გავაუმჯობესოთ ჩვენი სერვისების ხარისხი.

ჩვენ ვაგროვებთ Cookies-ის ინფორმაციას, ჩვენი ვებსაიტის ვიზიტორების გადაადგილებისა და ქცევის შესახებ, კერძოდ:

- გვერდები, რომლებიც იხსნებოდა ჩვენს საიტზე, თითოეული სესიის ხანგრძლივობა და სხვა პარამეტრები;
- ჩვენს საიტზე განხორციელებული მოქმედებების შესახებ ინფორმაცია
- IP მისამართი, მოწყობილობის ტიპი, ოპერატიული სისტემა და ბრაუზერი, რომლის მეშვეობითაც ხდება საიტზე შესვლა.

ჩვენ ვიყენებთ Cookies შემდეგი მიზნებისთვის:

- ტრენდების გაანალიზება
- კომპანიის ვებგვერდის ეფექტურად მართვა და სტატისტიკის წარმოება
- ეფექტური მარკეტინგული აქტივობების შესამუშავებლად და განსახორციელებლად

მიღებული ინფორმაცია გვეხმარება:

- საიტი და მისი კომპონენტები მოვარგოთ კლიენტების მოთხოვნებს. საიტის ვიზიტორების დასაცავად და თაღლითური მოქმედებების აღსაკვეთად;
- უკანონოდ მოპოვებული ფულის ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსებისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების აღმოჩენა და აღკვეთისთვის;
- ინფორმაციის მიღებისთვის, თუ როგორ პოულობენ ჩვენი კლიენტები ჩვენს საიტს და შედეგად Google-ის მეშვეობით ანალიტიკური ანგარიშების შედგენა;

სანამ დაიწყებთ ჩვენი ვებსაიტის გამოყენებას, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ქუქი-ფაილები და თქვენი, როგორც მომხმარებლის ქცევის მონიტორინგი განხორციელდება მას შემდეგ, რაც დასტურის ღილაკს მონიშნავთ. თუ თქვენ არ ეთანხმებით ქუქი-ფაილების პოლიტიკას, მაგრამ განაგრძობთ საიტის გამოყენებას, ეს ქმედება ჩაითვლება თანხმობად ზემოხსენებული ქმედების განხორციელებაზე. ჩვენ არ ვიყენებთ ქუქი-ფაილებს ან მომხმარებლის ქცევის მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემებს პირადი ინფორმაციის შესაგროვებლად. თუ გსურთ შეზღუდოთ ქუქი-ფაილების გამოყენება ჩვენს ვებსაიტზე, ამის გაკეთება შეგიძლიათ თქვენი ბრაუზერის პარამეტრების შეცვლით.
გარდა ამისა, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი სერვისი, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ, შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი, თუ თქვენ დაბლოკავთ ან წაშლით ქუქი-ფაილებს.

პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები:

თქვენი მონაცემების დამუშავების დროს ჩვენ ვხელმძღვანელობთ შემდეგი <u>პრინციპებით:</u>

- მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, თქვენი ღირსების შეულახავად;
- მონაცემები შეიძლება შეგროვდეს/დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებით. ჩვენ არ ვამუშავებთ სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით
- მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა თქვენთვის მომსახურების მისაღებად და შესაბამისი კანონიერი მიზნების მისაღწევად.
- მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში განახლებული. კომპანია ასწორებს/ანადგურებს/შლის თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც არ შეესაბამება მონაცემთა დამუშავების მიზნებს;
- მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად;
- მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.
-

მონაცემების დამუშავების საფუძვლები:

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- თქვენ განაცხადეთ თანხმობა თქვენს შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან თქვენი მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა ჩვენს მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან თქვენ იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადეთ;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენი ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვის, მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიზნებისთვის;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჩვენი ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს თქვენი უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენი განცხადების განსახილველად (თქვენთვის მომსახურების გასაწევად).

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლები:

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- თქვენი წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებაზე;
- მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენი ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და თქვენ ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ გაქვს, აღნიშნული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე განაცხადოთ თანხმობა;
- აღნიშნული მონაცემები მუშავდება ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

ვის შეიძლება გადავცეთ თქვენი მონაცემები:

ჩვენ შეგვიძლია თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან სხვა ორგანიზაციებისთვის, რომლებიც გაგიწევენ მომსახურებას ან/და მოგაწვდიან პროდუქტს ან/და გაზიარება საჭირო იქნება ჩვენი მომსახურების სათანადოდ განხორციელებისთვის:

- თქვენი კანონიერი წარმომადგენელი;
- სადაზღვეო კომპანიები, თუ თქვენ გადაწვეტთ ისარგებლოთ დაზღვევით ჩვენი ჩართულობით და დახმარებით;
- საკურიერო მომსახურების გამწევი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლისთვის სხვადასხვა კორესპონდენციის ჩაბარებას;
- **გადამზიდავი კომპანიები ან/და ავტოსალონები, რომლებიც თქვენი სურვილის შემთხვევაში მოგაწვდიან სალიზინგო პროდუქტს;**
- საკრედიტო, ფინანსური ინსტიტუტები, სადაზღვევო მომსახურების მიმწოდებლები და ფინანსური შუამავლები და სხვა მესამე პირები, რომლებიც მონაწილეობენ მომსახურების გაწევაში და ხელშეკრულების დადებაში ან/და შესრულებაში, მაგალითად, ლიზინგის საგნის გამყიდველები და მათ მომსახურებასთან დაკავშირებული უფლებამოსილი პირები;
- დავალიანების ამომღებები ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირები, მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში, სასამართლოები, სასამართლო დავების გადაწყვეტის გარე ორგანოები, გაკოტრების ან გადახდისუუნარობის ადმინისტრატორები, აგრეთვე ანალოგიური სასესხო საინვესტიციო პლატფორმები, მესამე პირები, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა საკრედიტო, სახელმწიფო რეესტრებს და კომერციულ რეესტრებს;

- სერვის-პროვაიდერები, რომლებიც უზრუნველყოფენ კლიენტების იდენტიფიკაციის ინსტრუმენტებს, სერვერის აპარატურულ პროვაიდერზე განთავსების სერვისებს, ასევე მონაცემთა და კიბერუსაფრთხოების სერვისებს, ელ.ფოსტისა და კონტენტის მიწოდების ინსტრუმენტებს, IT, ვებ ანალიტიკას, სესიის ჩაწერას და ონლაინ მარკეტინგის სერვისებს და სხვა სერვისებს, რომლებიც გონივრულად შეიძლება დაგვჭირდეს;
- იურიდიული, სანოტარო, ბუღალტრული, აუდიტორული და ა.შ. პროფესიული მომსახურების გასაწევად, რაც აუცილებელია ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად ან/და კანონმდებლობის გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩვენ აგრეთვე ვიტოვებთ უფლებას გადავცეთ თქვენი მონაცემები მესამე პირებს, თუ:

- კომპანია გადაწყვეტს გაასხვისოს (შეიძინოს) წილი (ბიზნესი) ან შეიცვალოს სამართლებრივი ფორმა, განახორციელოს გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა.

თქვენი მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემის შემთხვევაში, ჩვენ ვიღებთ ყველა ზომას მათი დაცვის უზრუნველსაყოფად კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
ჩვენ აგრეთვე უფლება გვაქვს კანონით დადგენილ შემთხვევებში და სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნის შემთხვევებში გადავცეთ, წვდომა მივანიჭოთ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე, რაც მიზნად ისახავს დანაშაულის დადგენა/აღკვეთას, გამოძიების ჩატარებაში დახმარების გაწევას.

მონაცემების საერთაშორისო გადაცემა:
საჭიროების შემთხვევაში და გაწეული მომსახურებიდან გამომდინარე, შესაძლოა მოხდეს თქვენი პერსონალური მონაცემების საერთაშორისო გადაცემა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და GDPR-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. ასეთი გადაცემისას, საქართველოს კანონმდებლობისა და ჩვენი პოლიტიკის შესაბამისად, ჩვენ ვიღებთ ყველა საჭირო ზომას მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად.

მონაცემების საერთაშორისო გადაცემა დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:
• სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთანაც ვცვლით მონაცემებს, უზრუნველყოფს შესაბამის სათანადო გარანტიებს თქვენი პერსონალური მონაცემებისა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დასაცავად;
• მონაცემთა გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით;
• თქვენი მონაცემების გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით;
• შესაბამის სახელმწიფოში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არარსებობისა და შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ თქვენ განაცხადებთ წერილობით თანხმობას;
• მონაცემთა გადაცემა აუცილებელია თქვენი სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გაქვთ ფიზიკური ან სამართლებრივი უნარი დაეთანხმოთ მონაცემთა დამუშავებას;
• არსებობს კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი და მონაცემთა გადაცემა აუცილებელია და წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში პროპორციულ ზომას.
თუ თქვენი მონაცემების საერთაშორისო გადაცემა მოხდება კომპანიასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციას, იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, სამთავრობო ორგანოს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე, ჩვენ მივიღებთ ყველა ზომას მონაცემების დაცვის სათანადო გარანტიების უზრუნველსაყოფად და, შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სამსახურიდან ნებართვის მიღების შემდეგ, გადავცემთ თქვენს მონაცემებს.

მონაცემების დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის:
ჩვენ შესაძლოა დავამუშაოთ თქვენი მონაცემები მარკეტინგული და კანონიერი მიზნებისთვის, რათა მოგაწოდოთ ინფორმაცია (როგორც ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების ან/და თქვენთან უშუალო კომუნიკაციის მეშვეობით) თქვენთვის საინტერესო სერვისებისა და შეთავაზებების შესახებ. ჩვენ ვაგროვებთ თქვენს მონაცემებს თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან, როდესაც იყენებთ ჩვენს მომსახურებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა სახის მომსახურებამ შეიძლება დაგაინტერესოთ, ამისთვის ჩვენ ვამუშავებთ და ვაანალიზებთ თქვენს მონაცემებს. ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს და გიგზავნით მარკეტინგულ შეტყობინებებს <u>მხოლოდ</u> თქვენი წინასწარი თანხმობით.
პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების მიზნით ჩვენ უფლება გვაქვს ხელშეკრულებაში ან მის დანართში გავითვალისწინოთ თქვენი წინასწარი თანხმობა ჩვენგან სამომავლოდ მარკეტინგული შეთავაზებების მიღებაზე ან ჩვენს ვებ გვერდზე/სოციალურ ქსელში განვათავსოთ რეკლამა და თქვენი მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში შეძლოთ თქვენი მონაცემების მითითება და ამის შემდეგ ინფორმაციის მიღება.

პირდაპირი მარკეტინგი ხორციელდება თქვენს მიერ ხელშეკრულებაში ან სოციალურ ქსელში/ვებ გვერდზე მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრების ან თქვენს მიერ მოწოდებული კომუნიკაციის მეთოდების მეშვეობით (სატელეფონო ზარები, whatsapp, SMS, სოციალური ქსელები, ელ.ფოსტა).
<u>პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის, ჩვენ გვაქვს უფლება თქვენი სახელის, გვარის, მისამართის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის გარდა დავამუშავოთ აგრეთვე სხვა მონაცემები, მაგრამ მხოლოდ თქვენი ელექტრონულად განცხადებული/წერილობითი თანხმობის საფუძველზე.</u>
თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს, დამატებითი ხარჯების გარეშე, მოითხოვოთ რომ ჩვენ გამოვასწოროთ, დავამატოთ, წავშალოთ, გავანადგუროთ ან შევწყვიტოთ თქვენი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის გამოყენება, იგივე მეთოდების გამოყენებით, რომლებითაც ხდება პირდაპირი მარკეტინგი, ან კომუნიკაციის შემდეგი საშუალებებით:

- ფოსტა: <u>info@dizi.ge</u>
- განცხადების გამოგზავნით შემდეგ მისამართზე : **ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, ოფისი N33, სართული 6 (ბლოკი N1)**

ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს უფლებას და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ვიღებთ ვალდებულებას შევწყვიტოთ მონაცემების დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის თქვენგან შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს <u>7 სამუშაო დღისა</u> მოთხოვნის მიღებიდან. პირდაპირ მარკეტინგზე უარი გამოიწვევს პროდუქტების, მომსახურების, **ფასდაკლებების,** აქციების და სხვა სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიღების შეწყვეტას.

მონაცემების დამუშავება ავტომატური გადაწყვეტილების მისაღებად
იმისათვის, რომ შევძლოთ თქვენთვის სათანადო მომსახურების გაწევა და აგრეთვე ჩვენი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლოა დაგვჭირდეს ავტომატური გადაწყვეტილების მიღება (პროფილირებისთვის), რისთვისაც ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

ჩვენ ვიღებთ ავტომატურ გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

- <u>მომსახურების მიღება</u>

  თქვენს მიერ მოწოდებული ან ჩვენს მიერ სხვა კანონიერი გზით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ვამოწმებთ, რამდენად შეგვიძლია გაგიწიოთ მომსახურება/დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა და აგრეთვე ვადგენთ, მომსახურების (საგნის) მოწოდების პირობებს, მათ შორის ფასს, ვადას და ა.შ.

- <u>დაფინანსების მიღება</u>

  სალიზინგო მომსახურების (ავტოლიზინგი, უკულიზინგი, ტაქსი ლიზინგი) ან/და რეფინანსირების მოსაწოდებლად და იმის განსაზღვრისთვის, რა ოდენობით შეგვიძლია დაგაფინანსოთ და აგრეთვე დავადგინოთ თქვენი გადახდისუნარიანობა, კომპანია დაამუშავებს მის ხელთ არსებული ინფორმაციას (თქვენგან ან მესამე პირებისგან კანონიერად მოპოვებული ინფორმაცია) და შესაბამისად შემოგთავაზებთ მომსახურებას.

- <u>საკრედიტო ბიუროში (კრედიტინფო საქართველო) ინფორმაციის გადამოწმება</u>

  ჩვენს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად და სალიზინგო პროდუქტზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე თქვენი გადახდისუნარიანობის შესამოწმებლად, ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორის გადასამოწმებლად, ფინანსური დანაშაულების აღსაკვეთად, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას გადავამოწმოთ თქვენი საკრედიტო ისტორია/რეპორტი, საკრედიტო რეიტინგი, ვისარგებლოთ კრედიტინფო საქართველო-ს (დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ <u>https://ge.creditinfo.com/</u>) ბაზებით, რისთვისაც ჩვენ ვუზიარებთ ერთმანეთს შემდეგ ინფორმაციას:
  - ✓ სახელი, გვარი, ტელ. ნომერი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი მისამართი
  - ✓ თქვენს ფინანსურ მდგომარეობა
  - ✓ საკრედიტო ისტორია, მათ შორის ვადაგადაცილებული
  - ✓ საჯარო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას
  - ✓ ჩვენთან წარმოდგენილ სალიზინგო განაცხადს
  - ✓ კანონმდებლობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე სხვა ინფორმაცია

პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნება

ჩვენ ვიღებთ ყველა ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომას თქვენი პერსონალური მონაცემების შესაფერისი დაცვის უზრუნველსაყოფად უკანონო და შემთხვევითი დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვის, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.
ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და კანონით დადგენილი საფუძვლის არსებობისას, მხოლოდ იმ მოცულობით და მხოლოდ იმ მიზნის პროპორციულად, რისთვისაც ხდება პირადი ინფორმაციის გამჟღავნება.

ინციდენტი:
ჩვენ ვალდებულნი ვართ აღვრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა, რის შესახებაც წერილობით ან ელექტრონულად ვატყობინებთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

როგორ გიცავთ კანონმდებლობა:
თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ შემდეგი ინფორმაცია:

- რომელ მონაცემებს ვამუშავებთ თქვენს შესახებ;
- როგორ მუშავდება თქვენი მონაცემები;
- რა არის თქვენი მონაცემების დამუშავების მიზანი;
- რა სამართლებრივი საფუძვლები არსებობს თქვენი მონაცემების დასამუშავებლად;
- თქვენი მონაცემების მოპოვების წყაროები;
- თუ მონაცემები გადაეცემა მესამე პირს, მონაცემების მიმღები პირის ან მიმღები პირების კატეგორიის შესახებ, მონაცემების გადაცემის საფუძვლისა და მიზნის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით;
- იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მონაცემებს გადავცემთ სხვა სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციას, ინფორმაცია მონაცემების გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზეზების, აგრეთვე მონაცემების დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ;
- მონაცემების შენახვის ვადა, ხოლო თუ ვადა არ არის განსაზღვრული, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების შესახებ;
- თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას, სამართლებრივი საფუძვლების და მიზნების, აგრეთვე მონაცემების დაცვის შესაბამისი გარანტიების შესახებ;
- იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები გადაეცემა მესამე პირს, მონაცემთა მიმღების ვინაობა, საფუძვლისა და მიზეზების შესახებ;
- თქვენი, როგორც მონაცემების სუბიექტის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ჩვენ მიერ დამუშავებული მონაცემების ასლი. კანონის მიხედვით, თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების ცვლილება განახლებები, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ ისინი არის არასრული, არაზუსტი, მოძველებული ან უკანონოდ მოპოვებული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ ვიცავთ თქვენს უფლებებს და ვმოქმედებთ თქვენი ინტერესების შესაბამისად, თუმცა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია პერსონალური მონაცემების დაუყოვნებლივ წაშლის შესაძლებლობა შეიზღუდოს, თუ თქვენი უფლებების გამოყენებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

- სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს, ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოებას ან/და თავდაცვას;
- დანაშაულის აღკვეთას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას და ა.შ.
- მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ ინტერესებს;
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას;
- პროფესიული ნორმების დარღვევის გამოვლენას, რეგულირებადი პროფესიების ნორმების ჩათვლით, ეთიკის დარღვევის გამოვლენასა და პასუხისგებაში მიცემას;
- მონაცემების სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, გამოხატვის თავისუფლების ჩათვლით;
- კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და სხვა საიდუმლოების დაცვას;

- სამართლებრივი მოთხოვნის ან პრეტენზიის დასაბუთებას;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

თქვენ გაქვთ უფლება გამოიხმოთ თქვენი თანხმობა ნებისმიერ დროს ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და დასაბუთების გარეშე.
პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის გაუქმების შემთხვევაში, ჩვენ ვაჩერებთ ან/და ვშლით ან ვანადგურებთ დამუშავებულ მონაცემებს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს **10 სამუშაო დღისა,** თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი.
მომსახურების გაწევის სპეციფიკიდან გამომდინარე და თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, თქვენი მონაცემების დამუშავების შეზღუდვა/დაბლოკვა/შეწყვეტამ შესაძლოა გამოიწვიოს ჩვენი მომსახურების შეწყვეტა, თუ მომსახურების გაწევის სპეციფიკიდან ან/და საქართველოს კანონმდებლობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

რა ვადით ვინახავთ თქვენ მონაცემებს:
თქვენი პერსონალური მონაცემები ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

ამ მიზნის მიღწევის შემდეგ, თქვენი მონაცემები ექვემდებარება წაშლას ან განადგურებას, ან მონაცემთა დეპერსონალიზაციას, თუ საქართველოს კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნით ან/და სამართლებრივი მიზეზებით არ იარსებებს მონაცემების უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვის საჭიროება.

მომხმარებლის ვალდებულება
კლიენტი ვალდებულია კომპანია-ს მის შესახებ მიაწოდოს სრულყოფილი და სწორი ინფორმაცია შემდგომში მომსახურების მიღების მიზნით. აღნიშნული ვალდებულება ასევე ვრცელდება მომხმარებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ცვლილებებზე.

ქოლ-ცენტრი

კომპანია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, პრობლემის აღმოფხვრის, უკუკავშირისა და უსაფრთხოების მიზნით ხორციელდება შემომავალი და გამავალი ზარების ჩაწერა, შენახვა და დამუშავება საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისად.

ვიდეომონიტორინგი:

კომპანია, ვიდეოსათვალთვალო სისტემას იყენებს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

მონაცემთა დამუშავების შესახებ მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების მიზნით შენობაში თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.

კომპანია უზრუნველყოფს იმ თანამშრომელთა სათანადო წესით ინფორმირებას, რომელთა სამუშაო სივრცეც ექცევა ვიდეოსათვალთვალო სისტემის ხედვის არეალში.

კომპანიის მიერ ვიდეომონიტორინგი ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, კერძოდ 24/7 რეჟიმში;

ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა: 40 დღე (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული) და ამ ვადის გასვლის შემდეგ ჩანაწერები იშლება ახალი ვიდეოჩანაწერების გადაწერის მეთოდის გზით.

პასუხისმგებლობა:

ჩვენთან დასაქმებული პირები კისრულობენ ვალდებულებას დაიცვან აღნიშნული პოლიტიკა.

დასაქმებული ვალდებულია შეინახოს, დაამუშაოს თქვენი პონაცემები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურების სათანადოდ გაწევისათვისთვის, კანონიერი მიზნის მისაღწევად.

დასაქმებული კისრულობს ვალდებულებას არ გადასცეს თქვენი მონაცემები მესამე პირებს. აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება შრომითი ურთიერთობების დასრულების შემდეგაც. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ჩვენ უფლებამოსილნი ვართ დავაკისროთ დასაქმებულს დისციპლინური პასუხისგებლობა ან მოვთხოვოთ დასაქმებულს დამდგარი ზიანი/ზარალის ანაზღაურება.

როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ:
წინამდებარე პოლიტიკასთან და თქვენს მონაცემებთან დაკავშირებული შეკითხვის შემთხვევაში, ასევე თქვენი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა/რეალიზებასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, ნებისმიერი თქვენთვის მოსახერხებელი გზით.

- ფოსტა: info@dizi.ge
- განცხადების გამოგზავნით შემდეგ მისამართზე : **ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, ოფისი N33, სართული 6 (ბლოკი N1)**

პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა

კომპანია იტოვებს უფლებას, წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკაში განახორციელოს ცვლილებები და დამატებები, შესაბამისად მოგიწოდებთ, რომ პერიოდულად გადაამოწმოთ კონფიდენციალურობის პოლიტიკის პირობები, რომლებიც დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე https://dizi.ge/ge/

დამტკიცებულია 14.01.2025 წ.